პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 მაისი ხუთშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 124 (15945)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— — დეპუტატობის კანდიდატები — —

გმირი ზეინკალი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ქ. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ ასათიანი (ცენტრში) ესაუბრება მოწინავე ამწყობ ზეინკლებს რ. თორდიას, თ. ცაცაშვილს და ელექტრომონტაჟეს თ. რაზმაძეს.

3. ასათიანის მოლაპარაკების შესახებ მოგითხრობთ გაზეთის მეორე გვერდზე.

ს. კულაძის ფოტო.

დიდ მიზანს — დიდი გარჯა!

ახლა, როცა ჩვენ შევიმუშავეთ საიმედო, სწორი პოლიტიკური კურსი, მთავარია მისი წარმატებით განხორციელება.

ლ. ბრეჟნევი.

საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი სწრაფი წინსვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ეს ისტორიული დადგენილება, რომელშიც დასახულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდა-განვითარების, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული გზები, დიდი მადლიერების გრძნობით აღავსებს და აღაფრთოვანებს საქართველოს მშრომელებს.

როცა ანალიზს ვუკეთებთ ყოველივეს, რაც ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში შეიქმნა და გაკეთდა, როცა ამ გაწეულ მუშაობასთან ერთად საღი თვალით ვაფასებთ ხუთიექვსიწლიანი და ვოლუნტარიზმის პერიოდის ძძიმე-შედეგებს, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა: საქართველოს ეკონომიური პოტენციალის შემდგომი აღმავლობის ესოდენ მოკნილი, მეცნიერულად შემუშავებული პროგრამა, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო დროს გამართული პლენუმებისა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების გადაწყვეტილებანი, გამომდინარეობენ საქართველოში ობიექტურად შექმნილი მდგომარეობიდან, ეკონომიკის განვითარების სერიოზული ჩიხორჩენიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცამეტე პლენუმმა, რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებანი და რესპუბლიკის ეკონომიკურ ორგანიზაციათა ამოცანები ალმა-ათაში ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის მიხედვით, განსაზღვრა პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ყველა მშრომელის საბრძოლო პროგრამა უახლოესი წლებისათვის.

ამ პლენუმიდან ხან კვირაზე მეტი გავიდა. ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, შრომითს კოლექტივებში პლენუმის გადაწყვეტილებათა, მისი აზრის, შინაარსის, მთელი სულისკვეთების თვითეულ მშრომელამდე დასაყვანად ჩვენი პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დევიზია — ყოველმა მოძალადემ, რა უბანზეც უნდა შრომობდეს და მოღვაწეობდეს იგი, სწორად აღიქვას, სწორად განიაზროს და შეიგრძნოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თვითეული პუნქტი, თვითეული სტრიქონი, მისი მნიშვნელობა რესპუბლიკის თვითეული მცხოვრების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სწორედ ახეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ ამაღლდეს ადამიანთა ინიციატივა და აქტივობა, წარმატებით შესრულდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცამეტე პლენუმის გადაწყვეტილების ყოველი მუხლი.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში დაიწყო კომუნისტთა დიდი სესიაბაასი. პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და პარტიული აქტივის კრებებზე განიხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სახავენ მათი შესრულებისათვის პრაქტიკულ გზებსა და საშუალებებს.

ამ დღეებში თბილისის საქალაქო პარტიული აქტივის კრებამ მზურვალედ მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა თბილისის კომუნისტთა მოქმედების კონკრეტული ამოცანები. მაღალი აქტიურობისა და საქმიანობის ვითარებაში ჩაიარა პლენუმებმა და აქტივის კრებებმა ქალაქებში ქუთაისში, ზუგდიდსა და ფოთში... დღეს და მომდევნო დღეებში გაიმართება გორის საქალაქო, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახალციხის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონული პარტიული კომიტეტების პლენუმები და აქტივების კრებები.

მთავარზე მთავარი ახლა ის არის, რომ ეს პლენუმები და კრებები ყველგან წარიმართოს დიდი საქმიანობისა და კომუნისტთა მაღალი აქტივობის ვითარებაში, რომ შემუშავებულ იქნას ისეთი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებშიც მთლიანად იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი ამოცანები, მათი სირთულე, ახალი რეზერვების გამოყენება, საქმისადმი მეცნიერული მიდგომა და განსაკუთრებით ის დიდი ენთუზიაზმი და მონდომება, რომელიც ესოდენ საჭიროა დიდი და პასუხსაგები გეგმების განხორციელებისათვის.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოითხოვა, საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, მთავარი ყურადღება მივაპყროთ ნაკლოვანებათა მხილებას და მათი გამოსწორებისათვის ჭეშმარიტი გზების ძიებას, სწორი ანალიზი გაუკეთდეს საქმის მდგომარეობას თვითეულ შრომითს კოლექტივში.

ეს მითუმეტეს საჭირო, რომ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე ჯერ კიდევ სრულად როდი შეესაბამება იმ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XXIV ყრილობის, საკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ საკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

როგორც პლენუმებსა და აქტივებზე, ისე პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში ერთერთი ცენტრალური ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი კადრების საკითხს. ცხოვრებამ, პრაქტიკამ, უკანასკნელი წლების სერიოზულმა შეცდომებმა და ნაკლოვანებებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რა დიდი ზიანი შეუძლია მიადგეს საქმეს, თუ მას აკლია სათანადო ხელმძღვანელობა, თუ მუშაობაში არ იგრძნობა სიყვარული და მონდომება, დისციპლინა და შემოქმედება. ცოდნა და პასუხისმგებლობა, ერთგულება იმ მიზნისა და მიმართულებისა, რაც პარტიამ დაგვისახა.

ამიტომ მთავარია ყველა უბანს ხათავში ედგას იდეური, მცოდნე, ენერგიული მუშაკი, ხოლო ყოველი პარტიული ორგანიზაცია დღენიადაგ განამტკიცებდეს პარტიულ, სახელმწიფო და შრომითს დისციპლინას, ზოითხოვდეს ადამიანთა პერსონალურ პასუხისმგებლობას.

დიდი გეგმების განხორციელება მთელი ჩვენი ენერგიის, მთელი ძალების მობილიზაციას მოითხოვს. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენთა იდეოლოგიური მოქმედების ყველა არხი, ყველა მეთოდი და საშუალება. ყოველდღიურ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც ამ დღეებში მჭიდროდ უკავშირდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას, ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად უნდა გაუშუქდეს სოციალისტური წყობილების უპირატესობანი, კონკრეტული მაგალითებით ნაჩვენები იქნას ხალხთა ლენინური მეგობრობის ხორცშესხმა, სოციალისტური ერების აყვავება და დაახლოება.

მაგრამ რა კონკრეტულ ამოცანებზეც არ უნდა ვლაპარაკობდეთ, რა ღონისძიებების ჩატარებასაც არ უნდა ვითვალისწინებდეთ, მითუმეტეს, როცა ესოდენ დიდი პროგრამა გვაქვს განსახორციელებელი, სახურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. თუ არ მოვიმარჯვებთ კარგად მოწყობილ შესრულების შემოწმებას, აი რით არის ყოველი დადგენილება სიცოცხლისუნარიანი, აი რატომ არის საჭირო ყოველთვის მოვიმარჯვოთ ლენინური დებულება გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების ერთიანობის შესახებ.

კარგი დასწყება. სწორად აღებული კურსი მომავალი ნაყოფიერი მოქმედების მტკიცე წინაპირობაა, ამიტომ საჭიროა ახლავე, აქედანვე სწორად მოვიფიქროთ და განვსაზღვროთ მოქმედების კონკრეტული პროგრამა. უზრუნველვყოთ კომუნისტების მონაწილეობა მის შემუშავებაში, მაღალი იდეური დონე, შემოქმედებითი აქტიურობა და ინიციატივა — ახეთი უნდა იყოს მიმდინარე პარტიული კომიტეტების პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებების სულისკვეთება!

საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ყველა ჩვენი წარმატება გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის თავდადებული შრომის შედეგია.

მიმართვიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, მოქალაქისადმი.

საქართველოს მრეწველობამ შეასრულა ხუთი თვის გეგმა

იბრძვიან რა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა **ვადამდე 29 მაისს გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა.**

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, ფოლად-თუჯსამსხმელო, შამპანური ღვინოების ქარხნებისა და ჩაის საწონი ფაბრიკის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის, გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივებმა.

(საქინფორმი).

დავალების გადამეტებით

ახალციხე. (საკ. კორ. შ. მაისურაძე). ქარხანა ელექტროძრავის კოლექტივი წინასაარჩევნო ვალტზე დგას და წარმატებით იბრძვის ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა შესრულებისათვის. მან გადაჭარბებით გაანაღდა ოთხი თვის დავალება. გამოუშვა 264 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, გეგმა კი 248 ათას მანეთს ითვალისწინებდა. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 100,1 პროცენტით არის შესრულებული.

ქარხნის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მოწინავე მუშებს ს. დავიდოფს, შ. ჩაბრაძეს, ე. დარბინიანს, ზ. დიომინს, ვ. აკოფაშვილს, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

სასწოვრეგელი ავტომატარეგელი

თბილისი. № 1 ავტომექანიკური ქარხნის კოლექტივმა კარგად დაიწყო განმსაზღვრელი წელი. თვიდან-თვეშიც ეზრდით პროდუქციის გამოშვებას, ვითვისებთ ახალ პროდუქციას. პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის დავალება 101,7 პროცენტით შეასრულეს, საერთო პროდუქციის გამოშვებას 2,9 პროცენტით გადაჭარბეთ. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიეწოდათ 10 სატვირთო ავტომანქანა, 188 ძრავი. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების ეზით.

შარშან, წლის ბოლოს აკეთებენ საცხოვრებელი ავტომატარებელი, წარმეუბა, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა.

არჩევნების შესახებდრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ძრავიანისა და მექანიკური საამქროები, რომლებსაც რ. ონეზაშვილი და ე. ვარსემაშვილი ხელმძღვანელობენ. (ცალკეულ დამკვრელებს შორის თავი გამოიჩინეს ლ. ჩიტერიკაშვილმა, ვ. ტატიკოვმა, გ. ჭილიძემ და გ. ნასყიდაშვილმა. დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ს. სამხარაძე და მ. კოხრეიძე თავჯაცობენ.

ეს რედაქციას აცნობა ქარხნის დირექტორმა ბ. ზალდასტანიშვილმა.



სუთი თვის გეგმა — გადაჭარბებით

ჭიათურა. (საკ. კორ. ვ. ჭიოკაძე). წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. მან 16 მაისისათვის შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთი თვის დავალება. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 10,3 პროცენტით გაადიდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით თვეში დაზოგა 70 ათასი მანეთი, მიიღო 107 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მექანიზატორები ჩაის პლანტაციებში

ახლა გალის რაიონის რომელ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასაც უნდა ეწვიოთ, ყველგან პლანტაციებში მუშაობს დიდი და პატარა. მაგრამ წელს ამიგვარის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. შერვაშიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი თ. ქარდავა), სადაც 1.100 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვთ (მათ შორის 960 ჰექტარი მოსავლიანი), მომუშავეთა სახარული სულ სხვაა. აქ გამოჩნდა ნ. კოსტავას სამი მანქანა „ჩა-900", რომელიც მეჩაიეებს უმსუბუქებს შრომას და კრეფს მაღალხარისხოვან ფოთოლს.

გალის რაიონის ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რომ ტექნიკის შეუფერხებლად მართვა დამოკიდებულია უნარიან მექანიზატორებზე. ამიტომ სპეციალურად მომზადეს და შეარჩიეს საქმის მოყვარულები ვალტერ და შოთა ყოლბაიები. ფოთლის აღებას პირველი შეუდგა მექანიზატორი ვალტერ ყოლბაია. მან პირველი დღეებიდანვე ნასახელოდ დაიწყო მუშაობა, ყოველ დღე უდანაკარგოდ იღებს 1.200-1.300 კილოგრამ ჩაის ნედლეულს. მის მიერ აღებული ფოთოლი ყველა პირველი ხარისხისაა.

„ჩა-900" მანქანით ფოთლის აღებას ამ დღეებში შეუდგა შოთა ყოლბაია. იგი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩამბმული ვალტერ ყოლბაიასთან და ბეჯითად მუშაობს.

მეურნეობაში წელს მანქანით ნაკრეფის ჩათვლით სულ აღებულია 460 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. ფაბრიკის მუშაკები კმაყოფილი არიან ფოთლის ხარისხით — ყველა პირველი ხარისხისაა. მეურნეობას გადაწყვეტილი აქვს წელს ნ. კოსტავას მანქანა „ჩა-900" სრული დატვირთვით გამოიყენონ და ხელით კრეფასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის — 16 ივნისისათვის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა შეასრულონ 120 პროცენტით.

გალის რაიონში ყოველდღე ძლიერდება ფოთლის კრეფის ტემპი. 29 მაისისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი იყო, მანქანებით აღებულის ჩათვლით, 6.000 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო".

შ. ბოგვა.



მშენებელთა წარმატება

თელავი. (საკ. კორ. ა. თვალიაშვილი). საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის თელავის № 4 სამშენებლო სამმართველოს მშრომელთა კოლექტივი, ჩაბმულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებდრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. წარმატებს წარმატებაზე აღწევს. მშენებლებმა ხუთწლედის მეოთხე. განმსაზღვრელი წლის ოთხი თვის დავალება 112,3 პროცენტით შეასრულეს, გეგმით გათვალისწინებული 785 ათასი მანეთის ნაცვლად აწარმოეს 882,1 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები.

თელაველმა მშენებლებმა ამ დღეებში სასახარული ცნობა მიიღეს. 1974 წლის პირველი კვარტალის სამშენებლო სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მათ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მიენიჭათ.

ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

შ. ვ. ძორძინაპის სახელობის ცენტრალურ კლუბში 28 მაისს გაიმართა სასაზღვრო ჯარების 56 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. აქ მოვიდნენ სასაზღვრო სამსახურის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, გენერლები, ოფიცრები, პროპორშჩიკები, სერჟანტები.

შეკრებილებმა დიდი აღმაფოთებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მოხსენება გააკეთა სასაზღვრო ჯარების შტაბის უფროსმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ვ. თ. ლობანოვმა. (საკ. კორ.).

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 28 მაისი. (საკ. კორ.). დღეს აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ტამკენტის — ლენინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები შეხვდნენ ამ ოლქში დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შ. რ. რაშიდოვს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 28 მაისი. (საკ. კორ.). დღეს ქალაქ ლენინგრადის მოსკოვის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები კაპრანოვის სახელობის კულტურის სახლში შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გ. ვ. რომანოვს.

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲞᲝᲠᲡᲙᲘ, 29 მაისი. (საკ. კორ.). ქარხანა „კრასმაშინა" კულტურის სახლში დღეს გაიმართა ქალაქის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამ ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ვ. ი. დოლგიხთან.

შეხვედრებზე გამოსულმა ამომრჩეველებმა ილაპარაკეს პატრიოტულ სიამაყესა და აღფრთოვანებაზე, რომლითაც მთელმა საბჭოთა ხალხმა აღიქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის ყველა ამომრჩეველისადმი, მოქალაქისადმი. ისინი მხურვალედ იწონებენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ უდიდესი ცვლილებების გამო, რომლებიც მოხდა ქვეყანაში ოთხი წლის განმავლობაში წინა არჩევნების შემდეგ.

სიტყვები წარმოთქვეს შ. რ. რაშიდოვმა, მ. გ. რომანოვმა და ვ. ი. დოლგიხმა, რომელთაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი. მათ გულითადი მადლობა გადაუხადეს კოლექტივებს, რომლებმაც ისინი დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

საბჭოთა მთავრობის მოწვევით

28 მაისს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვეევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი ბრუნო კრაისკი.

თვითმფრინავის ტრაპთან დოქტორ ბრუნო კრაისკის შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც ავსტრიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, ავსტრიის მთავრობის მეთაურს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. გრუშეცკი, სსრ კავშირის მინისტრები ბ. პ. ბუგაევი, ტ. ბ. გუტენკო, ვ. ნ. დოენინი, ე. ა. ფურცევა, ვ. დ. შამინი, ბ. ე. შჩერბინა, სსრ კავშირის მინისტრების პირველი მოადგილეები ვ. გ. ყულიკოვი და მ. რ. კუზმინი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. თ. პრომისლოვი, სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ავსტრიაში ვ. მ. მამონტოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე იყო ავსტრიის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ჰაინრიხ ჰაიმერლე.

საფრენ ბოლოდანზე ჩაამწკრივეს საპატიო ყარაული და შეასრულეს ავსტრიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ა. ნ. კოსიგინმა და ბ. კრაისკიმ ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწკრივს.

მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები გულთბილად მიესალმნენ ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს.

აეროდრომიდან საპატიო სტუმარი ქალაქში გაემართა. ქუჩები და მოედნები, რომლებითაც ავტომანქანები მიდიოდნენ მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით, მორთული იყო ავსტრიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებითა და მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

ავსტრიის მთავრობის მეთაურთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ ეროვნული საბჭოს დეპუტატი, ავსტრიის თავისუფლების პარტიის ეროვნული საბჭოს ფრაქციის თავმჯდომარე ფრიდრიხ პეტერი, ავსტრიის მუშათა პალატების ყოფილის პრეზიდენტი, ავსტრიის ეროვნული ბანკის გენერალური მრჩეველი ვილჰელმ ხრდლიჩკა, ავსტრიის მრეწველთა გაერთიანების პრეზიდენტი დოქტორი ჰანს იგლერი, ფედერაციული კანცლერის უწყების მეოთხე სამმართველოს უფროსი ოტო გაჩა, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე დოქტორი ლუდოვიკ შტაინერი და სხვები.

ბრონო კრაისკიმ უპასუხა აეროდრომზე ჟურნალისტთა კითხვებს და თქვა, რომ ძალიან მოხარულია დიდი ხნის შემდეგ კვლავ ეწვიოს მოსკოვს. ვიმედოვნებ, რომ მომავალი მოლაპარაკება იქნება სასარგებლო და რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა კვლავ განვითარდება. ჩვენი კარგი ურთიერთობა ევროპაში მშვიდობის განმტკიცების შემადგენელი ნაწილია. (საკ).

ᲔᲜ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲑᲠᲣᲜᲝ ᲙᲠᲐᲘᲡᲙᲘ

29 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი ბრუნო კრაისკი.

ნ. ვ. პოდგორნისა და დოქტორ ბრუნო კრაისკის შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც მხარეები შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხებს. მათ აგრეთვე გაუზიარეს ერთმანეთს აზრი აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან კვლავაც განაგრძონ ორი ქვეყნის თანამშრომლობა ამ პრობლემების გადაჭრაში ევროპის საერთაშორისო მდგომარეობის გაჯანსაღებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

(საკდესი).

ᲛᲔᲡᲐᲛᲒᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

შ. ვ. ძორძინაპის სახელობის ცენტრალურ კლუბში 28 მაისს გაიმართა სასაზღვრო ჯარების 56 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. აქ მოვიდნენ სასაზღვრო სამსახურის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, გენერლები, ოფიცრები, პროპორშჩიკები, სერჟანტები.

შეკრებილებმა დიდი აღმაფოთებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიური.

მოხსენება გააკეთა სასაზღვრო ჯარების შტაბის უფროსმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ვ. თ. ლობანოვმა. (საკდესის კორ.).

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲣᲖᲔᲣᲛᲘ 50 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

28 მაისს მოსკოვში სსრ კავშირის ლენინის ორდენოსან რევოლუციის ცენტრალურ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ეძღვნება მუზეუმის დაარსების 50 წლისთავს.

ოქტომბრის რევოლუციის 5 წლისთავის დღესასწაულის დღეებში გაიმართა ჯამოფენა „წითელი მოსკოვი", 1924 წლის მაისში იგი გარდაიქმნა სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმად. მის ორგანიზაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნ. კ. კრუპსკაია, ა. ვ. ლუნაჩარსკი და სხვა თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

ახლანდელ გამოფენაზე წარმოდგენილია 2500-ზე მეტი ახალი ექსპონატი — იმ მილიონი ექსპონატის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, რომლებიც მუზეუმის ფონდებში ინახება. ეს ექსპონატები მკაფიო წარმოდგენას გვაძლევენ სოციალისტური მომავლისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიაზე, გვიჩვენებენ მის ერთგულ კავშირს ლენინურ კომუნისტურ პარტიასთან, ინტერნაციონალურ სოლიდარობას მსოფლიოს ჩაგრულების მშრომელებთან. (საკდესის კორ.).

კრემლის დიდ სასახლეში

სსრ კავშირის მთავრობამ 28 მაისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს დოქტორ ბრუნო კრაისკის.

საპატიო სტუმართან ერთად სადილად იყვნენ მისი თანმხლები პირნი — ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე ავსტრიის ელჩი სსრ კავშირში ჰაინრიხ ჰაიმერლე.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, და სხვა ოფიციალური პირნი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა სადილზე სიტყვა წარმოთქვა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა თავმჯდომარემ კანცლერმა ბრუნო კრაისკიმ.

შეკრებილებმა ა. ნ. კოსიგინისა და ბ. კრაისკის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

29 მაისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ავსტრიის ფედერალური კანცლერის ბ. კრაისკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულახდილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განხილულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების საკითხები, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („კომუნისტის" კორ.). № 2 ავტოსარემონტო ქარხნის (დირექტორი მ. ბერიძე) კოლექტივი სისტემატურად სრულყოფს მუშაობის მეთოდებს. აქ სოციალისტური შეჯიბრება უფრო მასობრივი და ქმედითი

დეპუტატობის კანდიდატები

გმირი ზეინკალი

ივნისი 16 კვირა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

სოფელი მეგობრობა აფხაზეთში, ჯოდოთის რაიონში მდებარეობს. იგი სოციალისტური შრომის გმირის ვლადიმერ ასათიანის შობლოური სოფელია. აქ დაიბადა ეგი 1930 წელს და ოცი თხუთმეტი წლისა ჩაება შრომითს საქმიანობაში.

ჩვენი წარმოდგენილი ამ ახალგაზრდა შრომელთა ერთგულება და დიდი პატიოსნება დაჰყავ მეგზურად ვლადიმერ ასათიანის ცხოვრების და სამაგალითოდ. მისახალად აქვია. დღეს ვინ არ იცნობს ვლადიმერ ასათიანს, მისი სახელი საქართველოდ ცნობილია. ბიოგრაფია მდიდრდება ახალ-ახალი წარმატებებით და კომუნისტური შრომის დამკვრელი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინის ორდენის კავალერი ალვაკ რჩება დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ღირსეული კაცის მუშად.

რა იპოეტი უნდა, მოგეოქვინთ. რა საქებარ სიტყვები უნდა ვთქვათ მეგობრებმა, კოლეგებმა მისი მისამართით ახლა, ამ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა ირჩევნებისათვის ემზადება? ბევრი, ძალიან ბევრი რამის მოგონება და გახსენება შეიძლება. მაგრამ პირველ რიგში ეოქილებლად ის უნდა ალინიშნოთ და საქვეყნოდ განვაცხადოთ, რომ ვლადიმერ ასათიანი მეტად პატიოსანი, თავდადებული, მუყაითი, საქმის ერთგული, იტიერი მოღვაწე ადამიანია და ღირსეული ქენება რჩეულთა შორისაც.

რატომ გკვირა ეს? თუნდაც იმიტომ, რომ ვლადიმერ ასათიანი არა მარტო საამქროს, არამედ მთელი ჩვენი გრანდიოზული ქარხნის კოლექტივში სარგებლობს დიდი ავტორიტეტით და ეს ავტორიტეტი მან წლების მანძილზე გაწეული თავდადებული შრომით, სიბეჯითით მოიპოვა. იგი ღირსეული კანდიდატია იმიტომაც, რომ მისი ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადა საუკეთესო კოლექტივია და მისი ხელოვნი ერი ჯოლენინისტური შრომის დამკვრელის სპპატიო სახელს ატარებს; თვითეული მათგანი ბრიგადირის მაგალითზეა გამოწრთობილი.

ვლადიმერ ასათიანი იმიტომაც არის ღირსეული კანდიდატი, რომ საამქროს კოლექტივის საზოგადოებრივი მუშაობის ერთ-ერთი თავკაცია, პარტიული ბიუროს წევრია, არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორია; ამასთან მას აქვს იმის უნარი, რომ ინიციატივის განხორციელებისათვის დაწყებულ მუშაობაში ჩაიბას და თან გაიყოლიოს თავისი არა მარტო უახლოესი, არამედ წარმოებიდან დაშორებული კოლეგებიც.

ვლადიმერ ასათიანი შესანიშნავად კრძნობს დროს და იცის როდის რა ინიციატივის, რა ღონისძიების დაწყებაა საჭირო. ეგი ერთ-ერთი პირველი იყო ქარხანაში, ვინც მხარი დაუჭირა ამ ინიციატივებს, რომლებიც სახელმწიფო და შრომით დისციპლინის განმტკიცებას, ეკონომიას, დროის ეკონომიას, მომჭირნეობასა და ყაირათიანობას ითვალისწინებდნენ. არ აჭარბებელა, ერთი ხელის დაკვრით კი არ გადაჭრა საქმე, არამედ მეთოდურად, თანდათანობით დანერგა თავის ბრიგადაში პროდუქციის უდეფექტო წარმოების სისტემა. ზოსტი სამუშაო კრავითი, ყველა მუშას ფიანწალა მომიჯნავე პროფესიები, სრულყოფილად დაეუფლა ისინი შერეულ ოპერაციებს. ამ სტრატეგნების ავტორები არაერთხელ ყოფილან ამის მოწმენი, თუ რა თავიზიან მუშაობს ნოვატორი ზეინკალი ახალგაზრდა მუშებთან. როგორ ასწავლის მათ რთული დეტალების უდეფექტოდ დამზადების საქმეს. ამიტომ მოწაფეები და ბრიგადის წევრები მოდამ საოცეთისონი ჰყავდა და ჰყავს კიდეც. საამქროში ბევრს როდი შეუძლია ოსტატობაში შეეჯიბროს ვლადიმერ ასათიანის ბრიგადის წევრებს თენგიზ ციცეშვილს, რეზო თორდიაია, ანდრო შეყრილაძეს.

ადამიანს შრომა ალამაზებს, აკეთილშობილებს, ატყვიან ხელმე, და ეს გამოთქმა ზედგამოჭრილია ვლადიმერ ასათიანის პიროვნებისათვის. მის კეთილშობილებას, თავმდაბლობას, ადამიანის ბედზე ზრუნვას მაღალ გრძნობას, პასუხისმგებლობას დღეს ყველა ამჩნევს ჩვენს კოლექტივში და ამიტომაც დაასახელეს ეგი თავის რჩეულად — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მისი კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარა თბილისის 25 კომისრის სახელობის № 163 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

დამიტროველთა მრავალათასიანი კოლექტივი ერთსულოვნად მისცემს ხმას ამ სამაგალითო მუშას, გმირ-ზეინკალს.

დ. ქლერია,
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საამქროს ოსტატი,

კ. პაპუაშვილი,
ამწყობი ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი,

ვლ. პუენიჩნი,
ელექტრიკოსი, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

ჯარტიული ცხოვრება

დღის წესრიგშია — საუფლო ურთიერთდახმარება

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო და გარდაბნის რაიონული კომიტეტების ბიუროების გაერთიანებული სხდომა

მეგობრობენ ნამგალი და ურო

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII კონგრესის ანგარიშიდან:

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდი ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება სოფლის მეშრომელთა და მუშათა კლასის. მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა ერთიანი ლენინისეული ბრძოლა — ერთი სიტყვით ყველა საბჭოთა ადამიანის მეცადინეობით.

საბჭოთა საქართველოს ეკ ცენტრალურ კომიტეტის XIII კონგრესზე ალინიშნა:

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდი ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება სოფლის მეშრომელთა და მუშათა კლასის. მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა ერთიანი ლენინისეული ბრძოლა — ერთი სიტყვით ყველა საბჭოთა ადამიანის მეცადინეობით.

საბჭოთა ადამიანებმა ეს ამოცანა ერთ-ერთ-ერთ ეტაპზე ეფექტურად ამოხსნეს. ეს ეტაპი ეხებოდა ბოლო ორ-სამ ოცეულ ოლქებს,

საერთაშორისო დღე

ამბები • ფაქტები

საბჭოთა პარლამენტარები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 28 მაისი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი.

ა. ა. გრომიკო დამასკოში

დამასკო, 29 მაისი. (საკდესი). არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა, აბდელ ჰალიმ ჰადამმა გუშინ საუზმე გაუმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს, რომელიც აქ იმყოფება სირიის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოწვევით.

საუზმეზე ა. ჰ. ჰადამმა და ა. ა. გრომიკომ მოკლე სიტყვები წარმოთქვეს.

მიესალმა რა დამასკოში ა. ა. გრომიკოს ვიზიტს, ა. ჰ. ჰადამმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სულ უფრო აქტიურ ხასიათს იძენს სირიისა და საბჭოთა კავშირის მრავალი წლის თანამშრომლობა.

მან განაცხადა, რომ სირიელი ხალხი დიდად აფასებს დახმარებასა და მხარდაჭერას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს არაბ ხალხებს ისრაელთა მიერ მიტაცებული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფისათვის სამართლიან ბრძოლაში.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ფართოვდება საბჭოთა კავშირისა და სირიის ურთიერთობა და თანამშრომლობა, რომლებიც ვრცელდება ახალ დარგებზე. ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებენ საერთაშორისო საკითხები და უწინარეს ყოვლისა ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემა. საბჭოთა კავშირი გადაჭრით ადგას იმ აზრს, რომ სამართლიანი და მყარი მშვიდობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმის საფუძველზე, თუ ისრაელი ჯარებს გაიყვანს მთელი არაბული მიწებიდან და დაცულ იქნება პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებანი.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი დიდად აფასებენ სირიის ხელმძღვანელობის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების საკითხებში საერთოდ და სირიის ფრონტზე ჯარების დაშორიშორების საკითხებში კერძოდ.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დამასკო, 29 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ა. ა. გრომიკო შეხვდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრს, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მაჰმუდ ალ-აიუბს.

შეხვედრაზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-სირიის ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების აქტუალური საკითხები, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი.

დამასკო, 29 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დღეს შეხვდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ფ. პუეას, რომელიც აქ იმყოფება.

საუბარმა ჩაიარა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში, რომელიც დამახასიათებელია ორი მოძმე სოციალისტური სახელმწიფოს ურთიერთობისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ელჩი სირიაში ნ. ა. მუხიტდინოვი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სირიაში ი. ვერეში.

ა. ა. გრომიკო შეხვდა ჰ. კისინჯერს

დამასკო, 29 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ აქ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ძოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერს.

მათ განაგრძეს აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საკითხზე. მათ შორის განიხილეს ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების პრობლემა, კერძოდ, სირია-ისრაელს ფრონტზე ჯარების დაშორიშორების საკითხი, როგორც ამ საერთო პრობლემის შემადგენელი ნაწილი. აღინიშნა ამ საკითხში მიღწეული პროგრესი, რომელიც ამ ბოლო ხნის კონტაქტებისა და მოლაპარაკებათა შედეგია.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს

ბელგრადი, 28 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობა მუშაობას განაგრძობდა ხუთ კომისიაში.

ისინი იხილავდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების, პოლიტიკური სისტემის, ერთიანი და რესპუბლიკათშორისი ურთიერთობის განვითარების, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის იდეურ-პოლიტიკური, ორგანიზაციული განმტკიცებისა და კადრების დარგის პოლიტიკის საკითხებს. კომისიებმა აგრეთვე იმსჯელეს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე.

ისრაელის ახალი მთავრობა

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). გაბეზარებული 49 დღის კრიზისის შემდეგ შეიქმნა ისრაელის ახალი მთავრობა პრემიერ-მინისტრ იცხაკ რაბინის მეთაურობით. როგორც ფრანს პრესის საგანგებო კორესპონდენტი იერუსალიმიდან იტყობინება, იგალ ალონი დანიშნულია პრემიერ-მინისტრის მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად. თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა მიმონ პერესმა. მთავრობა შეიქმნა კოალიციის საფუძველზე და შედგება სამი პარტიის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ისრაელის პარლამენტში 120 დეპუტატის ადგილიდან სულ 61 ადგილი აქვთ. სამი მინისტრის პორტფელი ჯერჯერობით ბაკანტურია.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ახალ კაბინეტში არ შესულან ისეთი იდეიური პოლიტიკური ფიგურები, როგორიც არიან ყოფილი პრემიერი გოლდა მეირი, თავდაცვის მინისტრი მოშე დაიანი, საგარეო საქმეთა მინისტრი აბა ებანი.

ტელეტაიპის ლენტიდან

□

ამერიკელი მერის აზრი

**ნიუ-იორკი, 29 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ქალაქ ნორფოლკის (ვირჯინიის შტატი) მერმა ჩოი მარტინმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ სსრ კავშირში ქალაქების მართვის სისტემას მთელი რიგი აშკარა უპირატესობები აქვს ამერიკული სისტემის წინაშე. „მათ წინაშე არ დგას ბევრი პრობლემა, რომლებთანაც ჩვენ საქმე გვაქვს აქ, — აღნიშნა მან. — ბინის ქირას სსრ კავშირში საერთოდ სიმბოლური ხასიათი აქვს, და იქ არ არის ისეთი დიდი გადასახადები, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებში". „ყველაზე არსებითი განსხვავებაა, — განაგრძო რ. მარტინმა, — მიწის სახელმწიფო საკუთრება. როცა საბჭოთა კავშირში იწყებენ საცხოვრებელი მასივის მშენებლობას, იქ არ აინტერესებთ მიწის ფასი, როგორც ეს ჩვენშია".

პროვოკაციები გრძელდება

ნიუ-იორკი, 29 მაისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი ახლო აღმოსავლეთში იუწყებიან, რომ 23-დან 26 მაისამდე ისრაელი განაგრძობდა შეიარაღებულ პროვოკაციებს მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ. როგორც სირიას, ისე ლიბანს ცეცხლი დაუშინეს და ჰაერიდან დაბომბეს. რეგისტრირებულია ისრაელის პატრულების არაერთგზის შეჭრა ლიბანის ტერიტორიის სიღრმეში.

აგრესორმა, კერძოდ, არტილერიის ცეცხლი დაუშინა და დაბომბა დასახლებული პუნქტები ირმა აშ-შაბი, — იარონი, ალ-ჰოლა, რმეიში ლიბანში და ბეით-ჯინი, ბაკასიანი, დეირ ალ-ადასი სირიაში. დაზარალდა სახლები, დიდად დაზარალდა სასოფლო-სამეურნეო ნათესები, არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

დანაშაული ბრეშიაში

რომი, 29 მაისი. (საკდესის კორ.). იტალია შეაძრწუნა ხაზარელმა დანაშაულმა, რომელიც 28 მაისს ჩაიდინეს ქალაქ ბრეშიაში, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ხალხმრავალი ანტიფაშისტური მიტინგის დროს შუა ხალხში აფეთქდა მძლავრი თვითნაკეთი ბომბი. არსებული ცნობებით, დაჭრილია 60 და დაზიანებულია 6 კაცი. იტალიის საინფორმაციო საგაზეთო ანსა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ქალაქში სასამართლო ორგანოები იძიებენ ამ ბოლო დროს გაფრენილი ულტიმატუმი მემარჯვენე ორგანიზაციების საქმისაგან.

ბრეშიაში, განაცხადა იტალიის პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ, ახალი უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს მასობრივი მკვლელობა ცხადყოფს ტეროროისტული უმცირესობის ცდებს შეარყიოს სახელმწიფოს სუფთქვები.

„პრესა ხელსაყრელი ბიზნესია"

ვაშინგტონი, 29 მაისი. (საკდესი), ყოველგვარი მტკიცება, თითქოს ამერიკის პრესა თავისუფლებისა და დემოკრატიის სადარაჯოზე იდგეს — ეს უკეთეს შემთხვევაში — ფანტასტიკურია და უარეს შემთხვევაში — აშკარა თვალთმაქცობა".

ასე დაახასიათა ამერიკის შეერთებული შტატების პრესა ცნობილმა ამერიკელმა პუბლიცისტმა, პულიტცერის პრემიის ლაურეატმა, „ნიუ-იორკ ტაიმსის" რედაქტორის ყოფილმა თანაშემწემ ჰარისონ სოლსბერიმ.

ჰ. სოლსბერიმ ხაზი გაუსვა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეერთებულ შტატებში გადაქცეულია ხელსაყრელ ბიზნესად.

საკდესი და უცხოეთის პრესის საგაზეთოები იტყობინებიან

ვაშინგტონი

გულითადი შეხვედრები

დამასკო

ფართოვდება ურთიერთობა

რომი

მემარჯვენეები აქტიურდებიან

საფრანგეთის ახალი მთავრობა

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ'ესტენმა, პრემიერ-მინისტრის ჟ. შირაკის წარდგინებით, დანიშნა ახალი მთავრობის მინისტრები. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია საფრანგეთის ყოფილი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჟან სოვანიარგი, შინაგან საქმეთა მინისტრად — ჟანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი მიშელ პონიატოვსკი, თავდაცვის მინისტრად — ჟაკ სუფლე, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად — ჟან-პიერ ფურკადი.

შეხვედრა თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 29 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა თეთრ სახლში მიიღო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. პ. ლიაშკოს მეთაურობით. დელეგაცია შეერთებულ შტატებში იმყოფება გუბერნატორთა ეროვნული კონფერენციის მოწვევით. შეხვედრაში მონაწილეობდა სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი.

საუბარში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

„როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, საუბრის დრო პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „ისეთი ვიზიტების შედეგად ორი ქვეყნის ხალხებს უკეთ ესმით ერთმანეთისა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმატებულ ურთიერთობას".

ვაშინგტონი, 29 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია ეწვია ვაშინგტონის საქალაქო საბჭოს, სადაც იგი მიიღო ქალაქის მერმა უოლტერ ვაშინგტონმა.

უ. ვაშინგტონი მიესალმა საბჭოთა დელეგაციას და განაცხადა, რომ საჭიროა განვითარონ საბჭოთა და ამერიკელი ხალხების მტკიცე მეგობრული კავშირი, რათა მათ შეეძლოთ იცხოვრონ მშვიდობიან პირობებში და გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები. ჩვენ, თქვა მერმა, ერთად უნდა ვიძიოთ იმ საერთო პრობლემების გადაწყვეტის გზა, რომლებსაც დიდი ქალაქები აწყდებიან ჩვენს ქვეყნებში. ამ დარგში თანამშრომლობა დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც საბჭოთა კავშირს, ისე შეერთებულ შტატებს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ლიაშკომ განაცხადა, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონში უმაღლეს დონეზე გამართულმა შეხვედრებმა, ორ ქვეყანას შორის დადებულმა მთელმა რიგმა დოკუმენტებმა შეთანხმებებმა ხელსაყრელი პირობები შეიქმნეს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. როგორც მან აღნიშნა, გაჩნდა რეალური შესაძლებლობანი იმისათვის, რომ კიდევ უფრო მჭიდრო, მეგობრული და ხელსაყრელი ურთიერთობა დამყარდეს საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს შორის. ასეთი თანამშრომლობის განვითარება, თქვა ა. პ. ლიაშკომ, შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხალხების ინტერესებს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განტკიცებას.

კაპიტალის ქვეყნებში



იაპონიის დიდი ქალაქების მცხოვრებლებს სერიოზულად აწუხებთ ჰაერის გაჭუჭყიანება, საცხოვრებელი ბინების უმარხისობა, ამ პრობლემებს ემატება არანაკლებად სერიოზული — ხმაური.

დიდი ქალაქების მახლობლად განლაგებულია მსხვილი საერთაშორისო აეროდრომები. დღისით და ღამით ქალაქის თავზე შემზარავად ღრიალებენ საჰაერო ლაინერების მოტორები, რაც ადამიანების ცხოვრების პირობებს აუტანელს ხდის.

სურათზე: ოსაკა — იაპონიის მსხვილი ხმრეწველო ცენტრი. საჰაერო ლაინერი ზედ სახლების თავზე — ასეთი სურათი აქ ჩვეულებრივი მოვლენაა.

ჯაპან პრეს-საკდესის ფოტო.

ანგარიში ზორეულის წარსულიდან

ინგლისელ ... ...

ქუთაისი

გვაცყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

მაყურებელთა კონფერენცია

თოჯინების სახელმწიფო თეატრში გაიმართა მაყურებელთა კონფერენცია, რომელშიც კმონაწილეობდნენ თეატრმცოდნეები, კრიტიკოსები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები. თოჯინების თეატრის ახალი დადგმები მიმოიხილა თეატრმცოდნემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნინო შვანგირაძე. სიტყვებით გამოვიდნენ თეატრმცოდნე ს. ურუშაძე, პედაგოგი მ. თვალამვილი, პოეტი ლ. ნუცუბიძე, ძველი მსახიობი გ. ბერეჭიკიძე, რეჟისორი გ. ფურცხვანიძე.

ახალი დადგმა

ვასო აბაშიძის სახელობის სოფლის კულტურის სახლის დრამატულმა კოლექტივმა ძველ მაყურებელს წარმოუდგინა ახალი დადგმა—ნ. არეშიძის „დამნაშავენი". სპექტაკლი დადგა ა. ქაჯაიამ, როლები შეასრულეს სცენის მოყვარეებმა ე. სიჭინავამ, ნ. ჯუღელმა, გ. გიორგაძემ, ზ. ძველაძემ.

ერთი საუკეთესო სკოლა

ქიდევ ავტომშენებელთა ქალაქში შენდება ახალი საშუალო სკოლის შენობა. იგი გათვალისწინებულია 520 მოსწავლისათვის. მშენებლობა დამთავრდება მომდინარე წლის იკლისში, ერთი თვით ადრე, ვიდრე ეს გეგმით იყო ნავარაუდევი.

პოლიტექნიკური შევსებას ელის

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატმა და ლექტორ-ასისტენტებმა ბევრი საინტერესო ღონისძიება განახორციელეს სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღების ორგანიზებულად მოწყობისათვის. მათ ამ დღეებში შეხვედრა მოუწყვეს წულუკიძის რაიონის მეცოცხლესელებს. მასალები გამოცდების ორგანიზაციისე ძოსწავლეებს ესაუბრნენ ინსტიტუტის პრორექტორები ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნ. რატიანი და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კ. ომელაშვილი. კვების ტექნოლოგიის კათედრის გამგე, დოცენტი ს. ჯაფარიძე.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მომავალზე დამსწრეებს მოუსმინეს ინსტიტუტის რექტორმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნ. ყალიშვილმა.

მეგობრობის ხეივანი

კოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებთან, ჩათ ამ დღეებში ქუთაისიდან ჩაიტანეს და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ახალი კორპუსის ეზოში დარგეს 50 ძირი ხე. თავის მხრივ ხომეხი სტუდენტებიც მალე ქუთაისში გააშენებენ მეგობრობის ხეივანს.

უჩვეულო გაკვეთილი

სასალხო სასამართლოს სხდომათა დარბაზში დ. უზნაძის სახელობის 21-ე და 32-ე საშუალო სკოლების იმ მოსწავლეებისათვის, რომელნიც სწავლობენ სზოგადოებათმცოდნეობასა და სამართალმცოდნეობას, მოეწყო საინტერესო პროცესი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამეთა ხაზით. მოსწავლეები პრაქტიკულად გეცნენ სასამართლოს საქმიანობას, პროცესის ორგანიზაციის წესს.

ტურისტთა მეკრეპა

სამაგალითო ნაკრძალში მოეწყო ტურისტთა საკალაქო შეკრება-შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა კომკავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახელის ჩინგების 50 წლისთავს. შეკრებაში მონაწილეობდა 5 ათასამდე ახალგაზრდა. გაიმართა შეჯიბრება ტროსში, კარვის გაშლასა და სხვა სპორტებში, მრავალჯიდი გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ს. მ. კიროვის სახელობის პირველი სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ტურისტთა გუნდმა, რომელსაც გადაეცა ცხობილი მხარეთმცოდნეი ეტრე ჭაბუკიანის სახელობის გარდამავალი თასი.

დ. გელენიძე.

ქუთაისი. ცენტრალური ბაღის ერთ-ერთი კუთხე.

ო. ბერეჭიკიძის ფოტო.

ქუთაისი. ახალი, № 2 მიკრორაიონი არაყიშვილის ქუჩაზე.

ო. ბერეჭიკიძის ფოტო.

ლ. მ. ყვესიშვილი
სახელობის
ქუთაისის სახელმწიფო ოპერა

სიმართლის ნერგი იცარეგს...

ქუთაისის ლ. მეხიშვილის სახელობის თეატრის წარმოდგენა „რაიკომის მდივანი" თბილისში

რევაზ თაბუკაშვილის მიერ თითქმის ოცი წლის წინათ დაწერილი „რაიკომის მდივანი" შემთხვევით არ მოხვედრილა დღევანდელი ქართული თეატრის რეპერტუარში. ამ პიესისადმი ასეთი ინტერესი განაპირობა უწინარესად იმ პროცესებმა, რომლებიც ლეს ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს, ამასთანავე თვით „რაიკომის მდივანს" ლიტერატურულმა ღირსებებმა.

ამ პიესის დადებით თვისებად უნდა იქნას მიჩნეული ისიც, რომ იგი დაეშორჩილა მოდერნიზაციას, დაუქვემდებარდა დღევანდელობის მოთხოვნას. პიესაში უცვლელი დარჩა პერსონაჟთა ხასიათები, სოციალური ხაზი და, რაც მთავარია, მისი მიზანდასახულობა, რადგან ყველაფერი ეს ნამდვილ ლიტერატურულ საბჭენზე იდგა და შეინარჩუნა თავისთავადობა. რ. თაბუკაშვილისათვის მოდერნიზაციის უწინარესი ამოცანა იყო პიესაში შეეტანა იმგვარი ელემენტები, რომლებიც ნაწარმოებს იდენტურად დაუკავშირებდა დღეს თეატრის გარეთ მიმდინარე პროცესებს.

როცა ქუთაისის თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი ვ. მაღლაფერიძე, მთავარი რეჟისორი გ. ბაცხონაშვილი) „რაიკომის მდივანს" კიდებდა ხელს, მას საეჭვებით სამართლიანად ეწადა დღევანდელ მაყურებლისათვის ერთხელ კიდევ ეთქვა: არა, რაიკომის მდივნობა უპირატესობა კი არა, მოვალეობაა, მძიმე მოვალეობა. ამ აზრს ცხადად ამოიკითხავ ერეშია სვანაძის თამაშში, ამოიკითხავ მის სცენურ ცხოვრებაში. პიესის დამდგმელი რეჟისორი გ. მაცხონაშვილი და გიორგი ჯაფარიძის როლის შემსრულებელი ერ. სვანაძე ლაკონიური და მეტყველი სცენური ხერხებით აზროვნებენ და მაყურებლამდე ცხადდებოდა, რომ დაწინაურეს. გიორგი ჯაფარიძე კი ახალბედა რაიკომის მდივანია, იგი ჯერ ამდენად გამოუცდელია, რომ პარტიული სუბორდინაციის საკითხებშიც ვერ გარკვეულა, სამაგიეროდ სუფთა ხელით მუშაობს, ერთგული შვილია პარტიისა.

სიმონ გოდაბრელიძეს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გახტანგ მეგრელიშვილი თამაშობს, თამაშობს საზრიანად, ჩანებულად. ვ. მეგრელიშვილისა და ე. სვანაძის მიერ გიორგისა და სიმონის სახის სწორი, გონივრული გაგება იქცა სპექტაკლის წარმმართველად. რეჟისორისა და ორი მსახიობის — ვ. მეგრელიშვილისა და ერ. სვანაძის ერგი მუშაობის ნაყოფი შესახიშავია სცენა ჩანჩქერთან გაშენებულ რესტორანში, როცა ცხადად დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი ადამიანი. აქ უკვე იგრძნობა ის დაძაბულობა, რომელიც აიძულებს მაყურებელს სუნთქვაშეკრულმა უყუროს სცენას. ერთმანეთს შეეჯახა ორი ადამიანი, ორი პიროვნება და სამსახურებრივი იერარქიის კიბის რაოდენ დაშორიშორებულ საფეხურზეც არ უნდა იდგნენ ისინი, მაყურებლისთვის ეს ადამიანები არიან პიროვნებანი, რომლებიც მთელი თავიანთი წარსულისა და მომავლის ბედის გათვალისწინებით დაეჯახნენ ერთმანეთს.

„რაიკომის მდივანში" მარცხდება პიროვნება, იმარჯვებს იდეა. გიორგი დამარცხდა, მან ვერ დაამარცხა სიმონის მიერ აგებული ცხეე-სიმაგრე. საკითხის ამგვარი გადაწყვეტით დრამატურგი ერთხელ კიდევ ამაბეჭდავს მაყურებლის ყურადღებას, მან ბედნიერი ფინალით კი არ დაატგბო თეატრში მოსული ადამიანი, არამედ დაადაფიქრა ბიჭედ-გამოიხედოს, მეტი ყურადღებით მოეკიდოს პიროვნებებს, დრამატურგი მოერიდა სანამდვილის შელამაზებას, მართალი კაცი კი ეგრე იოლად ზენიმობს გამარჯვებას. მაგრამ გიორგი ჯაფარიძის მდივნობიდან განთავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იმარჯვებს სიმონ გოდაბრელიძის იდეა — პირიქით. მაგრე შეარჩია რაიკომის ახალი მდივანი, მაგრამ ეს ახალი მდივანი გიორგის გზას დაადგა და არა სიმონისას, რადგან ასეთია ზოგადად სიმართლის ძალა და გზა.

მართალია, ქუთაისელთა „რაიკომის მდივანს" ღირსების საქმეს უძთავრესად გიორგისა და სიმონის როლის შემსრულებლები განაპირობებენ, რადგან სწორედ ისინი არიან კონფლიქტის წარმმართველები, მაგრამ სათანადო არტურაკის შეუქნელად შეეძლებელი იქნებოდა არა მარტო გიორგისა და სიმონის სახის ცხადი გამოკვეთა, არამედ სპექტაკლის აზრის გამოხატვაც. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვ. გვენცაძის მიერ შესრულებული გიორგი. მსახიობმა დახატა დასრულებული პორტრეტი გონებაშეზღუდული, მაგრამ მოხერხებული მუშაკისა. გვენცაძის გიორგი არის ლაქიაც და დესპოტიც, ბრძენიც და მოსულელეც, იმის მიხედვით — როდის რა სჭირდება, მან ყველაფერი იცის გარდა უმთავრესისა — მასების პარტიული ხელმძღვანელობისა.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელთა სპექტაკლში რატომღაც მინიმუმამდეა დაყვანილი გიორგი ჯაფარიძის ოჯახური დრამა, მ. გელაშვილმა და ლ. ვაშაკიძემ მაინც გაგრძნობინეს თავიანთი სცენური მომხიბლაობა. გიორგის ოჯახური ყოფა კი უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, იგი სხვა მოვლენებში. იმდენად ჩაიკარგა, რომ ისეთ მნიშვნელოვან სცენას, როგორიც არის ბიუროზე გიორგის მძღოლის შემოსვლა, რომელიც მეუღლის გარდაცვალებას ამცნობს გიორგის, არა აქვს სათანადო ემოციური დატვირთვა.

თბილისელი მაყურებლისათვის სასიამოვნო იყო ის, რომ „რაიკომის მდივანში" იხილა ქართული თეატრის ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენელი კ. აბესაძე. მან ხომ მართლაც ჩვეული კოლორიტულობით განასახიერა სპირიდონის როლი.

ქუთაისელთა „რაიკომის მდივანმა" ერთხელ კიდევ გვაჩვენა, რომ დედაქალაქის თეატრებს ქარგი თეატრები უდგანან გვერდით და ამით კიდევ უფრო ამაღლებენ სასცენო ხელოვნების როლსა და დანიშნულებას.

გ. ბათიაშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „რაიკომის მდივანი". მარჯვნივ — მსახიობი ე. სვანაძე გიორგი ჯაფარიძის როლში.

ა. კაკაბასიძის ფოტო.



ქუთაისი. ცენტრალური ბაღის ერთ-ერთი კუთხე.

ო. ბერეჭიკიძის ფოტო.

საქართველო — ლატვია

„მინდია" რიგის სცენაზე

ლატვიის სსრ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გაიმართა ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას" პრემიერა.

მთავარ როლებში გამოვიდნენ დაგმარა და იურის რიიკურიხები — ლენინგრადის კონსერვატორიის ვოკალური განყოფილების სტუდენტები. სპექტაკლში მონაწილეობდა ხალხური გუნდი „რიგა".

რიგა (ხაკლესის კორ).

ქრეტენდენტთა მატჩებზე

ანგარიშია 5:2

ნ. ალექსანდრიას სასარგებლოდ

რიგა. გუშინ აქ გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ნინა ალექსანდრიასა და მარტა შულის ნახევარფინალური მატჩის მორიგი, მეშვიდე პარტია, ქართველმა მოჭადრაკემ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, ნ. ალექსანდრია მატჩს იგებს ანგარიშით 5:2 და ფინალში გასვლისათვის მხოლოდ ნახევარი ქულა სჭირდება.

გთავაზობთ ნ. ალექსანდრიასა და მ. შულის მატჩის მეხუთე და მეექვსე პარტიებს:

მეხუთე პარტია

ალექსანდრია — შული

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 ∂c6 3. ∂b5 g6 4. 0—0 ∂g7 5. ∂e1 e5 6. b4 cb 7. a3 ∂ge7 8. ab 0—0 9. ∂b2 d6 10. ∂:c6 ∂:c6 11. b5 ∂d4 12. ∂:d4 ed 13. ∂a4 ∂d7 14. ∂a3 a6 15. ∂d4 ab 16. ∂:a8 ∂:a8 17. ∂:g7 ∂φ:g7 18. ∂a1+ ∂φg8 19. c3 ∂a4 20. ∂b2 ∂a8 21. ∂c2 ∂a2 22. ∂c1 ∂c6 23. ∂b4 ∂b3 24. ∂3 ∂φg7 25. ∂d1 ∂:d1 26. ∂:d1 ∂φ16 27. ∂φf2 ∂φe7 28. ∂φe3 ∂6 29. ∂b1 ∂a5 30. h4 h5 31. ∂d3 ∂φ17 32. ∂f4 ∂a8 33. ∂c2 ∂a5 34. ∂d4 ∂φe7 35. g3 ∂d7 36. ∂φf4 ∂a2 37. ∂φe3 ∂a5 38. ∂g1 ∂a8 39. ∂φ14 ∂a2 40. ∂φe3 ∂a8 41. ∂c2 (ჩაწერილია ხვალ). ∂φf7 42. ∂b1 ∂a5 43. ∂b4 ∂a4 44. ∂f4 ∂:b4 45. cb ∂c6 46. d4 ∂e8 47. d5 ∂d7 48. ∂φd4 ∂c8 49. ∂g2 ∂φe7 50. ∂e3 ∂d7 51. ∂d1 ∂h3 52. ∂e3 ∂d7 53. ∂d1 ∂h3 54. ∂f2 ∂f1 55. ∂d3 g5 56. ∂e1 ∂φ17 57. ∂c2 ∂g2 58. ∂φe3 ∂h3 59. ∂d4 ∂d7 60. hg fg 61. f4 ∂φf6 62. ∂f3 gf+ 63. gf ∂g4 64. ∂h3 ∂h3 65. ∂φd4 ∂g4 66. ∂φe3 ∂h3 67. ∂f3 ∂g4 68. ∂d4 ∂d7 69. ∂φf2 ∂e8 70. ∂f5 ∂g6 71. ∂:d6 ∂φe7 72. f5 შული დანებდა.

მეექვსე პარტია

შული — ალექსანდრია

ინდოეგიპტური დაცვა

1. d4 ∂f6 2. c4 e6 3. ∂f3 b6 4. e3 ∂b7 5. ∂d3 d5 6. cd ed 7. 0—0 ∂d6 8. ∂c3 0—0 9. ∂c2 a6 10. ∂d2 ∂bd7 11. a3 ∂e7 12. ∂a2 ∂e4 13. ∂b4 c5 14. dc dc 15. ∂a5 ∂fe8 16. ∂fd1 d4 17. ed ∂g5 18. ∂:g5 ∂:g5 19. ∂f1 cd 20. ∂b4 ∂ac8 21. ∂a4 ∂:h2+ 22. ∂φ:h2 ∂e5 23. ∂:d4 ∂e6 24. ∂e7 ∂:e7 25. ∂h4 ∂g6 26. ∂c3 ∂g5 27. ∂f4 ∂f3+ 28. gf ∂g1+ 29. ∂φh3 ∂h1+ 30. ∂h2 ∂:f3+ 31. ∂g3 ∂:g3+ 32. fg ∂h1+ 33. ∂φg4 ∂f3+ 34. ∂φh3 f5 35. ∂c4+ ∂:c4 36. ∂:c4 ∂g2+ 37. ∂φh4 h6. შული დანებდა.

კისლოვოდსკი. მეორედ მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდას პრეტენდენტთა მეორე ნახევარფინალის მონაწილენი ვალენტინა კოხლოვსკაია და ირინე ლევიტინა.

კარპოვი — კორჩნოი — 16 სექტემბერს

მოსკოვიდან. ჩემპიონობის პრეტენდენტების ა. კარპოვისა და ვ. კორჩნოის ფინალური მატჩი დაიწყება 16 სექტემბერს მოსკოვში.

გამარჯვებულად ჩაითვლება ის გროსმაისტერი, რომელიც 5 პარტიას მოიგებს. სულ შეიძლება ჯამიათოს 24 პარტია. თუ ამ შეხვედრების მანძილზე ვერცერთმა მხარემ ვერ მოიპოვა 5 გამარჯვება, რ. ფიშერს ეთამაშება ის, ვინც ამ მომენტისათვის წინ იქნება. თანაბარი ანგარიშის შემთხვევაში მსაჯს მოუხდება მიმართოს წილისყრას.

ვ. კორჩნოი და ა. კარპოვი დღემდე სულ ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთხელ კარპოვი თეთრებით თამაშობდა. ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ოთხ დანარჩენ შეხვედრაში თეთრი ფიგურები კორჩნოის ჰქონდა. მეტოქეებმა ორ-ორი პარტია მოიგეს.

ასე რომ, ანგარიში თანაბარია — 2,5:2,5.

როგორია პრეტენდენტების ანგარიში მსოფლიოს ჩემპიონ ფიშერთან?

ვ. კორჩნოი ამერიკელ გროსმაისტერს რვაჯერ შეხვდა. მეტოქეებმა მოიგეს ორ-ორი პარტია, დანარჩენი ყაიმით დასრულდა.

რაც შეეხება ა. კარპოვს, იგი ფიშერს ჯერ არ შეხვედრია.

მამაცობა და ვაჟკაცობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 მაისის ბრძანებულებით საშიში დამნაშავის დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის გვარდიის უფროსი სერჟანტი ალექსანდრე გიორგის ძე ყიროვი დაჯილდოდეს მედლით „მამაცობისათვის".

...**ბაისმა** მუხრუჭების ხრჭიალი და მატარებელი გაჩერდა. უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ყიროვი ვაგონიდან ბაქანზე გადმოხტა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ვაგზლის შენობისაკენ. აქ, ნევინომისში, ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის. მას უყვარდა ქალაქი, სადაც დაიბადა, სადაც გაატარა სიჭაბუკე. და ახლა, შვებულებაში ჩამოსულმა უფროსმა სერჟანტმა გადაწყვიტა ფეხით გაესეირნა ტაინიგზის ვაგზლიდან სახლამდე. უნდოდა ენახა, როგორ შეიცვალა ნევინომისი.

ვაგზლისპირა მოედანზე ბევრი ხალხი ირეოდა. ალექსანდრემ თვალი მოავლო ირეოდა. ალექსანდრემ თვალი მოავლო ირეოდა. ალექსანდრემ თვალი მოავლო